ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეგი ცხადაძე

ქალთა მიმართ ძალადობის აღქმის თავისებურებები სხვადასხვა ჯგუფებში000

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სოციალური მუშაობის სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

პროფესორი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მეგი ცხადაძე

თბილისი: 2023

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ქალთა მიმართ ძალადობის აღქმის თავისებურებების დადეგნას სხვადასხვა ჯგუფებში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქალთა ძალადობის მიმართ საზოგადოების სხვადასხვა ფენების, გენდერული და ასაკობრივი ჯგუფების დამოკიდებულების გაანალიზება. ასევე, ის თუ რას ფიქრობენ ისინი გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ.

საკვლევი თემის ირგვლივ, მონაცემთა შესაგროვებლად და საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია რელევანტური სამეცნიერო წყაროები, ლიტერატურული ანალიზი. კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ - ფოკუს ჯგუფები. კვლევაში მონაწილე პირები შერჩეულ იქნა მიზნობრივი შერჩევით, კერძოდ ქალაქ თბილისში მცხოვრები 60 წელს გადაცილებული ქალბატონები და მამაკაცები, ასევე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები: რესპონდენტების განსხვავებული დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, ასევე, საკითხის მიმართ დამოკიდებულებების თვალსაზრისით ასაკობრივი სხვაობის გავლენა. მამრობითი სქესის ორივე ასაკის წარმომადგენლებში დაფიქსირდა მსგავსი მოსაზრებები, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის, კერძოდ 60 წელს გადაცილებული ქალბატონების და სტუდენტი გოგონების მოსაზრებები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არის განსხვავებული, რაც გამოწვეული იყო ასაკობრივი სხვაობით. კვლევამ აჩვენა, რომ 60+ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ გარდა ფიზიკურისა, ასევე ორივე სქესის წარმომადგენლები უარყოფენ მათ გარშემო განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებში ჩარევას.

გამოკითხული სტუდენტები კი ინფორმირებულნი იყვნენ ძალადობის სხვადასხვა ფორმებზე, თუმცა განსხვავდებოდა მათი მოსაზრებები ძალადობის გამომწვევი მიზეზების შესახებ

ექსპერტთა აზრით, პრობლემის აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებები, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა და ჩართულობა საზოგადოების ინფორმირებულობისთვის. სფეროს ექსპერტები, ასევე ხაზს უსვამენ ყველა შესაბამისი სტრუქტურის კომპლექსურ მუშაობას, რომლებიც საერთო სტრატეგიით იმუშავებს და შედეგი უფრო სწრაფი იქნება.

Annotation

The master's work is devoted to determining the characteristics of the perception of violence against women in various groups.

The purpose of the study is to analyze the attitudes of various sectors of society, gender and age groups towards violence against women. Except what they think about gender violence.

The work uses up-to-date scientific sources, literary analysis to collect data and in-depth study of the issue around the research topic. A qualitative research method was chosen as the research method. Particularly focus groups. The participants of the study were selected by the method of target sampling, namely, women and men over 60 years of age living in Tbilisi, as well as students who have an active status in higher educational institutions in Tbilisi.

As a result of the study, the following main conclusions were revealed: different attitudes of respondents to violence against women, as well as the influence of age difference on attitudes towards the problem. Similar opinions about the legal status of women were observed among male representatives of both ages. Among women, in particular, women over 60 and female students have different attitudes towards violence against women, due to the difference in age. Studies have shown that people 60+ have no information about various forms of violence other than physical, and both sexes deny involvement in violent actions around them.

The students interviewed were informed about various forms of violence, although their opinions about the causes of violence varied.

According to experts, preventive measures, even more activity and attracting public attention are important to eliminate the problem. Experts in the field also emphasize the integrated work of all relevant structures that will work with a single strategy and the result will be faster.